ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №148

2020 წლის 14 მაისი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (w.w.w.matsne.gov.ge, 16.07.2014. №010250040.35.123.016211), კერძოდ, დადგენილების დანართის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი) მე-7 მუხლს (საკრებულოს მუშაობის საერთო წესი) დაემატოს მე-5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „5^1. საკრებულო, საკრებულოს კომისიები, საკრებულოს ფრაქციები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები, საკრებულოს სათათბირო ორგანოები (საბჭო, კომიტეტი), საკრებულოს კომისიებთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოები უფლებამოსილნი არიან ობიექტური მდგომარეობის არსებობისას, დისტანციურ რეჟიმში ჩაატარონ საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს სათათბირო ორგანოების, საკრებულოს კომისიებთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოების სხდომები.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ირაკლი შენგელია**
მოვალეობის შემსრულებელი